

მეფე და ავსიტყვა კაცი

მეფე ვინმე იყო და ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა, რომე მისის პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდის.

მეფე ხუთის წლის სავალს ლაშქრად მივიდოდა და ავსიტყვას უთხრა: ერთი კარგი სიტყვა სთქვი და მუნით მოვალ, კაბას მოგცემო!

ავსიტყვამ უთხრა: რომ ველარ მოხვიდე, ვინლა მომცემს და კარგი სიტყვაც დაგვარგოო! =

წავიდა მეფე. ორი წელი გამოხდა. ავსიტყვამ მეფის უნახაობა ველარ გასძლო და წავიდა მათად ნახვად.

რა მივიდა, მეფემ უწინარეს ნახა და ვაზირს უბრძანა: აჰა, ყიამყრალი მოვა და ნურას ამბავს ჰკითხავთ, ავს იტყვის. შენ ჩემი გოშია ამბავი ჰკითხეო!

მოვიდა და მეფის წინ მიწას აკოცა.

ვაზირმან ჰკითხა: კაცთმაწყინარო, მეფის გოშია რასა იქმსო! =

მან უთხრა: მოკვდაო.

ვაზირმან ჰკითხა: რა სჭირდაო! =

მან უთხრა: მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, მისი მძორი ჭამა და მით მოკვდაო.

- აქლემი რამ მოკლაო! =

მან უთხრა: მეფის დედა ამ სოფლით გარდაიცვალა და იგი ავკიდეთ საფლავამდის და მან მოკლაო.

მეფეს გულთა ცეცხლი მოედვა და ჰკითხა: იგი რამ მოკლაო, რა დაესენაო! =

მან მოახსენა ტირილით: პირმზე დედოფალმან საწუთრო დასცალაო და მისმა ნაღველმან მოკლაო.

მეფემ წვერგლეჯით ჰკითხა: მას რა დაესენაო! =

მან მოახსენა:

- თქვენი ძენი და ასულნი ყვავილმან გაწყვიტნა და სიმწარეს ველარ გაუძლო.

მეფემ ჰკითხა თავში ცემით: მაშ, შენობა აღარა დარჩებოდა რაო! =

მოახსენა: მე რა იქ ვიყავ, თქვენს სასახლეში ბზესა ჰყრიდენო და აწ აღარა ვიციო.

თურე მისი სიტყვა ყველა ტყუვილი იყო და კაცთა საწყენად მოიგონის.

- აწე, ჩემო ლეონ, ამ გვარის კაცის სიტყვა ვერას იქმს, თუცა ბედმან არ უყოს კაცსა. არაკად თქმულა: ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო.

თქვა ლეონ არაკვი: